შავი ზღვის ბიზნესის აკადემია

საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

ბათუმი

2019

დაწესებულება ახორციელებს შემდეგ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებს:

ბუღალტერული აღრიცხვა

მიღება-განთავსების სპეციალისტი

სახელწოდება: ბუღალტერული აღრიხვა

სარეგისტრაციო ნომერი: 04114–3

პროფესიულიკვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მეხუთე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: - სრული ზოგადი განათლება

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:
ბუღალტრულ აღრიცხვაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს კერძო და საჯარო უწყებებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში საბუღალტრო და საფინანსო სამსახურებში, აუდიტორულ და საკონსულტაციო კომპანიებში მთავარ ბუღალტრად, ბუღალტრის თანაშემწედ/ასისტენტად, ბუღალტერ-მოანგარიშედ. შესაძლებელია თვითდასაქმებაც, კერძო პროფესიული პრაქტიკის განხორციელების გზით.

პროგრამის მიზანი: პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროფესიული პროგრამის დანერგვა, რომელიც მოამზადებს და შრომის ბაზარს შესთავაზებს კვალიფიციურ ბუღალტერს, რომელიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას სამეწარმეო, არასამეწარმეო, სახელმწიფო ორგანიზაციის/დაწესებულების ან პირის სააღრიცხვო პოლიტიკის დაგეგმვაში, ორგანიზებასა და წარმართვაში; ფინანსური, ბუღალტრული ანგარიშებისა და ჩანაწერების შემოწმებასა და ანალიზს, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა დადგენილ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან; განახორციელებს ბუღალტრულ გატარებებს; შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს საგადასახადო დეკლარაციებს; უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების გადარიცხვას სახელმწიფო ბიუჯეტში; ასევე შეძლებს ფინანსურ ანგარიშგების, პირველად სააღრიცხვო და სხვადასხვა სახის ფინანსურ დოკუმენტაციის შედგენას გარე და შიდა მომხმარებლებისათვის.

სწავლის შედეგები: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება;
- სამუშაო ფორმების (სააღრიცხვო დოკუმენტები) შევსება და არგუმენტირება;
- ბუღალტრული ოპერაციების წარმოება;
- დეკლარაციების შევსება და გაგზავნა;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადება;
- ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება ეკონომიკური საქმიანობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით;
- სამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო აღრიცხვაზე კონტროლის წარმოება;
- მმართველობითი აღრიცხვის წარმოება;
- ეკონომიკური ანალიზის შესრულება.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის-99 კრედიტი,
  - არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის-129კრედიტი.
- **ხანგრძლივობა:** -ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის- 68 სასწავლო კვირა,
  - არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის-90 სასწავლო კვირა.

სახელწოდება: მიღება-განთავსების სპეციალისტი

სარეგისტრაციო ნომერი: 10105-პ

პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით: მესამე

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მიღება-განთავსების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სასტუმროში, სპა-ცენტრსა და სტუმარმასპინძლობის სხვა დაწესებულებებში.

პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია მოამზადოს პირი, რომელიც შეძლებს მიღება-განთავსების განყოფილებაში რიგითი თანამშრომლის ისეთი მოვალეობების შესრულებას, როგორებიცაა: ჯავშნის მიღება და სტუმრის მიღება-განთავსება.

სწავლის შედეგები:
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაოს ორგანიზება
- დაჯავშნის პროცედურების შესრულება
- სტუმრის მიღება-გაწერის პროცედურის შესრულება
- ცვლის მოვალეობებისა და აუდიტის შესრულება
- სასტუმრის ძირითადი და დამატებითი მომსახურებებით უზრუნველყოფა
- პრობლემური სიტუაციების მართვა

პროგრამისმოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:**
  - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 76 კრედიტი
  - არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 91 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:**
  - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 54 სასწავლო კვირა
  - არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის - 65 სასწავლო კვირა

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მოდულით გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

- სტუდენტის შეფასება ხდება მოდულის შესრულების კრიტერიუმების თანახმად.
- მოდულის მისაღწევი შედეგებისა და შესრულების სპეციფიკიდან და შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეფასების ინსტრუმენტს, განსაზღვრავს მოდულის ხელმძღვანელი.
- შეფასება აუცილებლად უნდა მოიცავდეს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს, რომლებიც ემსახურებიან სტუდენტის მიერ ცოდნის ათვისებისა და უნარების განვითარების პროცესის სწორად წარმართვასა და მიღწევების დონის განსაზღვრას;
- ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის, ვალიდურობის, სტანდარტულობის, პრაქტიკულობის, გამჭვირვალობის პირობებს.
- განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

- მოდულის სწავლისას, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება არაუგვიანეს 8 დღისა, ხოლო ყოველ შემდგომ სწავლის შედეგების მიღწევის დამატებით შეფასებას არეგულირებს აკადემიის დირექტორი გამოცემული აქტით.

- დამატებითი განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასებისა პროგრამის დასრულებამდე, თუ მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას.

- დაუშვებელი ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურთან შეთანხმების გარეშე, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

- შეფასების პროცესი დასრულებულად ითვლება მხოლოდ შეფასების შედეგების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ. პროფესიული განათლების მასწავლებელი/შემფასებელი ვალდებულია უზრუნველყოს მტკიცებულებების შექმნა (ტესტის, შეფასების სქემის, დაკვირვების ფურცლის ან სხვა საშუალებებით) და შეფასების შემდეგ გადასცეს აკადემიის სწავლების სამსახურს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში განსათავსებლად.

- კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი და პროფესიული სავალდებულო მოდულით გათვალისწინებული კრედიტები, ასევე არჩევითი პროფესიული მოდულებიდან 15 კრედიტი (მესამე საფეხური) და 20 კრედიტი (მეოთხე და მეხუთე საფეხური).

- შეფასების წესის სწორ განხორციელებაზე ზედამხედველობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ევალება ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

- პროფესიული სტუდენტებისათვის მიღწევების შეფასების წესისა და მოდულის გაცნობა წარმოადგენს მოდულის განმახორციელებელი წამყვანი პროფესიული განათლების მასწავლებლის პასუხისმგებლობას.

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო. ბათუმი, 6009, ფარნავაზ მეფის ქ. 116

ტელ: (+ 995 422) 27 24 79

ელ.ფოსტა: bsbusinessacademy@gmail.com

ვებ-გვერდი: www.bsba.ge